A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი 9 მარტი, 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ნოდარ ხადური - სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

დავით ვარდიაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვასილ ჯანჯღავა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000026) გამარჯვებული მიმწოდებლის „გიორგი კანდელაკი - ვესტას“ მიერ მისაწოდებელი ერთი შეკვრა საბეჭდი ქაღალდის ფასის ცვლილება.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ილია ბეგიაშვილმა სატენდერო კომისიას შეახსენა, რომ A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის პირველ კვარტალში შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000026) ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებული უმცირესი ფასის (7,37 ლარი) შესაბამისად, „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ გამოვლინდა გამარჯვებულ მიმწოდებლად. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, გამარჯვებულ მიმწოდებელს ევალება, რომ აღნიშნული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდება განახორციელოს ამა წლის 14 აპრილის ჩათვლით.

კომისიის თავმჯდომარემ სატენდერო კომისიის წევრებს ასევე მოახსენა, რომ A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 4.11 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიას ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, აქვს უფლებამოსილება, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბეჭდი ქაღალდის შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასის ცვლილება.

ვინაიდან „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ ახორციელებს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის იმპორტს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, კომპანიის მიერ დაფიქსირებული ერთი შეკვრა საბეჭდი ქაღალდის საბოლოო ფასი (7,37 ლარი) გაანგარიშებული იყო ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის გამართვის პერიოდში არსებულ ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე აშშ დოლართან მიმართებაში.

ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებულ ტენდერში ელეტრონული ვაჭრობის დღეს - 2016 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი კურსით 1 აშშ დოლარის შეადგენდა 2,6562 ლარს, ხოლო ამა წლის 7 მარტის მდგომარეობით - 2.4289 ლარს. მითითებული დროის მონაკვეთში, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 9%-ით გამყარდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიმწოდებელთან ერთად განეხილა მისაწოდებელი ქაღალდის ფასის შემცირება. „გიორგი კანდელაკი - ვესტას“ დირექტორმა გამოხატა წერილობითი თანხმობა საბეჭდი ქაღალდის ერთი შეკვრის ფასის 7,00 ლარამდე შემცირების თაობაზე (იხილეთ თანდართული წერილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გიორგი კანდელაკი - ვესტას“ განესაზღვროს CON170000026 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დადგენილი ერთი შეკვრა საბეჭდი ქაღალდის განახლებული ფასი - 7,00 ლარი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო დოკუმენტაციის 4.11 პუნქტის გათვალისწინებითა და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არსებული გამყარების გათვალისწინებით, A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000026) გამარჯვებული კომპანია „გიორგი კანდელაკი - ვესტას“ განესაზღვროს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის შეკვრის განახლებული ფასი - 7,00 ლარი.

2. მიეცეთ უფლება შემსყიდველ ორგანიზაციებსა და მიმწოდებელს ზემოაღნიშნული ოქმის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან სატენდერო წინადადების დასრულებამდე გააფორმონ ხელშეკრულებები განახლებული ფასით.

3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობი